ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № _45_

“ _24_ ” _თებერვალი_ 2017 წ.

ქ. თბილისი

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის №17-66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხთან დაკავშირებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სათათბირო ორგანოს (საბჭოს) შექმნის, მისი შემადგენლობისა და საქმიანობის წესის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ.თ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შეიქმნას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის №17-66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხთან დაკავშირებით, სათათბირო ორგანო (საბჭო).

მუხლი 2.

სათათბირო ორგანოს (საბჭოს) შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგნაირად:

1) გიორგი ტყემალაძე
2) რამინა ბერაძე
3) ჯაბა სამუშია
4) მამუკა ახვლედიანი
5) სევდია უგრეხელიძე
6) დავით უთმელიძე
7) ნუგზარ მალაღურაძე

მუხლი 3.

სათათბირო ორგანო (საბჭო) თავისი შემადგენლობიდან ხმათა უმრავლესობით ირჩევს თავმჯდომარეს. თავმჯდომარე ხელმძღვანელობს და წარმართავს სათათბირო ორგანოს (საბჭოს) საქმიანობას.

მუხლი 4.

1. სათათბირო ორგანოს (საბჭოს) გადაწყვეტილებები მიიღება საბჭოს სხდომაზე დასკვნის ან/და რეკომენდაციის სახით, რომელსაც საბჭო წარუდგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს. სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

2. სათათბირო ორგანოს (საბჭოს) სხდომები იმართება საჭიროებისამებრ.

მუხლი 5.

სათათბირო ორგანოს (საბჭოს) საქმიანობას ტექნიკურად უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**